

კავკასიის უნივერსიტეტი



საბაკალავრო პროგრამა
“ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია”



კავკასიის უნივერსიტეტი
კავკასიის ტექნოლოგიების სკოლა



საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	Energy and Electrical Engineering
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია და კოდი	
ქართულად:	ინჟინერიის ბაკალავრი ენერგეტიკასა და ელექტროინჟინერიაში, 0713
ინლისურად:	Bachelor of Engineering in Energy and Electrical Engineering, 0713
საბაკალავრო პროგრამის დამტკიცების თარიღი	ბრძანება #01/01-43, 03.11.2023
საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	პროფესორი გიორგი არზიანი
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	
<p>პროგრამით განსაზღვრული კვალიფიკაციის მისაღებად გათვალისწინებულია სტუდენტის მიერ 240 ECTS კრედიტის ათვისება. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ დროს.</p> <p>საბაკალავრო პროგრამის სწავლების ვადაა ოთხი, ხოლო დასაშვები ხანგრძლივობა ექვსი წელიწადი. პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.</p> <p>პროგრამა სტრუქტურულად დაყოფილია ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო და თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსებად:</p> <p>ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები (199 ECTS კრედიტი):</p> <ul style="list-style-type: none"> - სავალდებულო სასწავლო კურსები - 170 ECTS კრედიტი; - არჩევითი სასწავლო კურსები - 29 ECTS კრედიტი. <p>თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსები (41 ECTS კრედიტი):</p> <ul style="list-style-type: none"> - საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები - 20 ECTS კრედიტი; - საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები - 15 ECTS კრედიტი; - თავისუფალი კრედიტები - 6 ECTS კრედიტი. 	
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	
<ul style="list-style-type: none"> ▪ პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. ▪ პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. ▪ ეროვნულ გამოცდებზე არჩევითი საგნებიდან სავალდებულოა მათემატიკის ან ფიზიკის გამოცდის ჩაბარება. ▪ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში. ▪ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოსილი პირი აბარებს უნივერსიტეტის მიერ დაწესებულ შიდა გამოცდას მათემატიკაში ან ფიზიკაში. ▪ პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით. 	

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია:

- მისცეს სტუდენტს შესაძლებლობა, მიიღოს ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის სფეროს ფართო ცოდნა, რაც ამაზღვრებს პირს მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისა ან/და მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის.
- სტუდენტმა მიიღოს მათემატიკის, ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის ფუნდამენტურ თეორიებსა და პრინციპებზე დაფუძნებული ცოდნა, რაც მას ელექტრული სისტემის დაგეგმვის, პროექტირებისა და განვითარების შესაძლებლობას მისცემს.
- მოამზადოს მაღალი დონის, კონკურენტუნარიანი სპეციალისტები იმ ფართო თეორიული ცოდნით და პრაქტიკაზე ორიენტირებული, ტრანსფერული უნარ-ჩვევებით, რაც აუცილებელია თანამედროვე ენერგეტიკულ სექტორში პროფესიული საქმიანობისათვის.

პროგრამის სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს შემდეგ კომპეტენციებს:

1. აღწერს ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის ძირითად კონცეფციებს. მათემატიკის, ფიზიკის და ინჟინერიის ფართო თეორიული ცოდნის საფუძველზე ხსნის სფეროს თეორიულ ასპექტებს.
2. აღწერს ელექტრული ქსელისა და სისტემების მოწყობისა და ოპერირების პრინციპებს.
3. ახდენს ოპტიმალური მეთოდების შერჩევას და მათ გამოყენებას კომპლექსური საინჟინრო და ენერგეტიკული ამოცანების გადასაჭრელად.
4. ეფექტურად იყენებს ელექტრონული სისტემების მულტიდომეინური მოდელირებისა და სიმულაციის თანამედროვე მეთოდებსა და ინსტრუმენტებს.
5. ახორციელებს სარელო დაცვის მოწყობილობების საბაზისო კონფიგურაციების განსაზღვრას და დაცვის ძირითადი ლოგიკების დაპროგრამებას რელებში.
6. იყენებს სადგურებისა და ქვესადგურების კონტროლისა და მონიტორინგის სისტემების, ასევე ცენტრალური SCADA/EMS სისტემების ძირითად ფუნქციონალსა და მათში გამოყენებულ ალგორითმებს.
7. აფასებს განვითარებაზე ორიენტირებულ სწავლის პროცესს, პროფესიული ცოდნის მუდმივად განახლებისა და ახალი ცოდნის მიღების აუცილებლობის მნიშვნელობას, ახორციელებს ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას.
8. აფასებს და სხვებს უზიარებს ელექტროენერგეტიკულ დარგთან დაკავშირებულ ღირებულებებს, ეთიკურ და სოციალურ პასუხისმგებლობას.

დასაქმების სფეროები

მიღებული ხარისხი კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს დასაქმდეს სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებში, იქნება ეს სამთავრობო სტრუქტურა, კერძო ბიზნეს კომპანია, არასამთავრობო ორგანიზაცია თუ სხვა. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს დასაქმებას ენერგეტიკის სფეროში. ელექტრული ენერჯის წარმოების, გადაცემის და განაწილების მიმართულელებით. ასევე, ლოკალურ და საერთაშორისო ენერგეტიკულ საკონსულტაციო კომპანიებში და მსხვილ საწარმოებში.

სწავლის გაგრძელების საშუალება

პროგრამის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ სწავლის გაგრძელება ნებისმიერ სამაგისტრო პროგრამაზე საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად არის მიღწეული სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგები. სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტური და უზრუნველყოფს კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. სტუდენტთა შეფასება ეფუძნება შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა, გამჭვირვალობა.

სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასების მიზანია სტუდენტის მიღწევის ზუსტი შეფასება. იგი აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. განმავითარებელი შეფასება სტუდენტის განვითარებაზეა მიმართული. იგი აწვდის სტუდენტს მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირს.

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) მაღიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთათვისაც შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) საბოლოო შეფასებაში განსაზღვრულია ხვედრითი წილი და დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კერძოდ, მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების - 30 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე კომპონენტში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედურ შეფასებებში განსაზღვრულია შეფასების მეთოდები, რომლებიც ჯამურად შეადგენენ 70 ქულას. შეფასების თითოეული მეთოდისთვის, შეფასება ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ, ზუსტ, მკაფიო კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს.

სწავლების პირველი წლის სასწავლო კურსებში (გარდა B2 დონის ინგლისური ენის) შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 51%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება; სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 51%. სხვა დანარჩენ სასწავლო კურსებში სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 59%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 60%.

სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს დამატებით გამოცდაზე, თუ იგი ვერ გადალახავს დასკვნითი გამოცდის მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს აკადემიური კალენდრით დადგენილ პერიოდში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში. საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის ან შეფასების რომელიმე კომპონენტში (შუალედური/დასკვნითი) მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერ გადალახვის შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0 ქულა.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლება-სწავლის პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები, რომლებიც ავსებენ ერთმანეთს და უზრუნველყოფენ შედეგის მიღწევას, უნივერსიტეტის დიდაქტიკური კონცეფციისა და სკოლის სპეციფიკის გათვალისწინებით გამოიყენება შემდეგი სახის მეთოდები:

1. ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.
2. წიგნზე მუშაობის მეთოდი.
3. წერიტი მუშაობის მეთოდი
4. ლაბორატორიული მეთოდი და დემონსტრირების მეთოდი
5. პრაქტიკული მეთოდები
6. დისკუსია/დებატები
7. ჯგუფური (collaborative) მუშაობა
8. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება
9. თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება
10. ევრისტიკული მეთოდი
11. შემთხვევის ანალიზი (Case study)
12. გონებრივი იერიში (Brain storming)
13. როლური და სიტუაციური თამაშები
14. დემონსტრირების მეთოდი
15. ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.
16. ახსნა-განმარტებითი მეთოდი
17. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება
18. ელექტრონული სწავლება (E-learning)

სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ანაცვლებენ. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები

პროგრამას ემსახურება კავკასიის უნივერსიტეტის ორმოცდარვა აკადემიური და მოწვეული პერსონალი, კერძოდ, 9 აფილირებული პროფესორი, 3 (მათ შორის 1 აფილირებული) ასოცირებული პროფესორი, 1 აფილირებული ასისტენტ-პროფესორი და 35 მოწვეული ლექტორი, რომლებიც საკუთარი კვალიფიკაციის შესაბამისად, უშუალო მონაწილეობას იღებენ სტუდენტებში პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციების განვითარებაში.

პროგრამის სხვა რესურსები

პროგრამის განხორციელებაში საუნივერსიტეტო შიდა რესურსის გარდა, მონაწილეობენ უნივერსიტეტის პარტნიორი სასწავლო დაწესებულებები, საჯარო ორგანიზაციები და კერძო კომპანიები კავკასიის უნივერსიტეტსა და კავკასიის ტექნოლოგიების სკოლასთან პარტნიორობის და გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში.

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი	სასწავლო წელი								ECTS
				I	II	III	IV					
				სემესტრი								
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები												
სავალდებულო სასწავლო კურსები - 170 ECTS												
1.	MATH 0003		კალკულუსი I	x								5
2.	PROG 1140		პროგრამირების საფუძვლები I	x								5
3.	MATH 0004	MATH 0003	კალკულუსი II		x							5
4.	DSM 1240		დისკრეტული მათემატიკა		x							5
5.	PHYS 1241	MATH 0003	ფიზიკის საფუძვლები		x							5
6.	PROG 1240	PROG 1140	პროგრამირების საფუძვლები II		x							5
7.	PES 1240		ენერჯის პირველადი წყაროები		x							5
8.	MATH 0002	MATH 0004	წრფივი ალგებრა			x						5
9.	ELEC 2141		ელექტრონული კომპონენტები და სენსორები			x						5
10.	ELEC 2140	PHYS 1241	ელექტრონიკა			x						5
11.	HET 2140		ჰიდროენერგეტიკული დანადგარები			x						5
12.	HET 2141		თბოენერგეტიკული დანადგარები			x						5
13.	WST 2240		ქარის და მზის ენერგეტიკული დანადგარები				x					5
14.	ETM 2241		ელექტროენერგეტიკული მასალები				x					5
15.	ELEC 2241	PHYS 1241	ელექტრული წრედები I				x					5
16.	ELM 2242		ელექტრული მანქანები				x					5
17.	PST 3140	MATH 0003	ალბათობა და სტატისტიკა					x				6
18.	ELEC 3141	ELEC 2241	ელექტრული წრედები II					x				6
19.	PPS 3140	ELEC 2241	ელექტროსადგურების და ქვესადგურების ძალოვანი დანადგარები და ელექტრული აპარატები					x				6
20.	OHL 3141	ELEC 2241	ელექტროგადამცემი ხაზები					x				6
21.	EPS 3142	ELEC 2241	ელექტრული სისტემები					x				6
22.	POE 3240	ELEC 3141	ძალოვანი ელექტრონიკა						x			6
23.	SSR 3241	EPS 3142	ელექტროენერგეტიკული სისტემის დამყარებული რეჟიმები						x			6
24.	OVP 3242	PPS 3140	გადამეტაბვები და მათგან დაცვა ელექტრულ სისტემებში						x			6
25.	SMS 3243	EPS 3142	ელექტრული სისტემების მოდელირება და სიმულაცია						x			6
26.	ERP 4140	ELEC 3141	ელექტრული სისტემების სარეგულაციო დაცვა							x		6
27.	ERA 4141	ELEC 3141	ელექტრული სისტემების სარეგულაციო ავტომატიკა							x		6
28.	EPQ 4142	ELEC 3141	ელექტრული ენერჯის ხარისხი							x		6

№	კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი	სასწავლო წელი								ECTS		
				I		II		III		IV				
				სემესტრი										
I	II	III	IV	V	VI	VII	VIII							
29.	PSA 4143	EPS 3142	ელექტრული სისტემების ანალიზი									x		6
30.	BPR 4243		საბაკალავრო ნაშრომი										x	12
არჩევითი სასწავლო კურსები -29 ECTS														
31.	ს	EPS 3142	მართვისა და მონიტორინგის სისტემები				x							5
32.	ELF 2244		ენერგეტიკის სამართლის საფუძვლები				x							5
33.	ENE 3144	PES 1240	ენერგეტიკის ეკონომიკა											6
34.	EEM 3145	PES 1240	ელექტროენერგეტიკული ბაზრები											6
35.	PSC 3143	EPS 3142	ელექტრული სისტემების კიბერუსაფრთხოება											6
36.	REFM 3244		განახლებადი ენერჯის ფინანსების მართვა											6
37.	PSD 3245	EPS 3142	ელექტრული სისტემების დინამიკა											6
38.	EPM 3246	ELEC 3141	ელექტროენერჯის აღრიცხვა											6
39.	SCSP 3246	EPS 3142	მოკლე შერთვები ელექტრულ სისტემებში											6
40.	PRW 3242		სპეციალობის პროექტი											6
41.	HVDC 4144	POE 3240	HVDC სისტემები											6
42.	PPM 4145		ელექტროენერგეტიკული პროექტების მართვა											6
43.	FACT 4146	POE 3240	FACTS სისტემები									x		6
44.	EMA 4147		ენერგეტიკის მენეჯმენტი											6
45.	EED 4148	PPS 3140	ელექტრული დანადგარების დიაგნოსტიკა											6
46.	ESS 4149	EPS 3142	ენერჯის შემნახველი სისტემები											6
47.	ELE 4243		ენერგეტიკის სამართლის ევროპეიზაცია											6
48.	LAER 4244		სამართლებრივი აპროქსიმაცია და ენერგეტიკული რეფორმა											6
49.	PSP 4245	EPS 3142	ელექტრული სისტემების დაგეგმვა											6
50.	ETP 4246	ELEC 3141	ელექტრომაგნიტური გარდამავალი პროცესები											6
51.	EMP 4247	ELM 2242	ელექტრომექანიკური გარდამავალი პროცესები											6
52.	PSD 4248	EPS 3142	ელექტროენერგეტიკული სისტემების დისპეტჩერული მართვა											6
53.	DEM 4249	EPS 3142	გაბნეული გენერაცია და მიკროქსელები											6
თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსები														
საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები - 20 ECTS														
54.	CIS 1140		საოფისე კომპიუტერული პროგრამები	x										5
55.	ACWR 0007		აკადემიური წერა	x										5

№	კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი	სასწავლო წელი								ECTS	
				I				II					
				სემესტრი									
I	II	III	IV	V	VI	VII	VIII						
56.	ENGL 0007	ENGL 0006	ზოგადი ინგლისური ენა B2.0	x									5
57.	ENGL 0008	ENGL 0007	ზოგადი ინგლისური ენა B2		x								5
საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები - 15 ECTS													
58.	HIST 0001		მსოფლიო ისტორიისა და ცივილიზაციის შესავალი										5
59.	POLS 0002		პოლიტოლოგია										5
60.	HIST 0003		საქართველოს ისტორია										5
61.	SOCI 0004		სოციოლოგია										5
62.	PHIL 0005		ფილოსოფია										5
63.	PSYC 0006		ფსიქოლოგია										5
64.	ENTP 0009		მეწარმეობა										5
65.	ENGL 0005		ზოგადი ინგლისური ენა B1.0 ¹	x									5
66.	ENGL 0006	ENGL 0005	ზოგადი ინგლისური ენა B1		x								5
67.	ENGL 0009	ENGL 0008	ზოგადი ინგლისური ენა C1.0			x							5
68.	ENGL 0010	ENGL 0009	ზოგადი ინგლისური ენა C1				x						5
თავისუფალი კრედიტები - 6 ECTS													
69.			თავისუფალი კრედიტი ²									x	
ECTS კრედიტები წელიწადში				60	60	60	60	60	60	60	60	60	60
სასწავლო კურსების რაოდენობა წელიწადში				12	12	10	9						

¹ B1 დონის ზოგადი ინგლისური ენის სასწავლო კურსებს შეისწავლიან B2 დონისთვის არასაკმარისი კომპეტენციის მქონე სტუდენტები, უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად.

² სტუდენტს თავისუფალი კრედიტების ფარგლებში შეუძლია შეისწავლოს სასწავლო კურსები (6 ECTS კრედიტი) უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული ან/და ამავე პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსებიდან.